

სარჩევი

თავი I. სტუდენტის სტატუსის მოპოვება და მართვა	4
1. ჩარიცხვის წინაპირობები	4
2. ხელშეკრულების გაფორმება და სწავლის საფასურის გადახდის პირობები	4
3. სტუდენტის საიდენტიფიკაციო ბარათი	5
4. სტუდენტის პერსონალური მონაცემები	5
5. ინფორმაციის მართვა	5
თავი II. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია	6
6. ადმინისტრაციული რეგისტრაცია	6
7. ამოღებულია	6
8. აკადემიური რეგისტრაცია	6
თავი III. მობილობა	7
9. სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა (შიდა მობილობა)	7
10. გადაყვანის წესით ჩარიცხვა (მობილობა)	7
თავი IV. სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა	7
11. სტუდენტის სტატუსის შეჩერება	7
12. სტუდენტის სტატუსის აღდგენა	8
13. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა	8
თავი V. სასწავლო პროცესი	9
14. პროგრამის ხანგრძლივობა	9
15. სწავლების ენა	9
16. სასწავლო პროცესის მიმდინარეობა	9
17. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	9
თავი VI. სტუდენტის ცოდნის შეფასება	10
18. შეფასების ფორმები	10
19. შეფასების ფორმების ადმინისტრირება	10
20. გამოცდაზე დაშვების პირობები	10

საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება დებულება

21.	გამოცდაზე ქცევის წესები	11
22.	შუალედური შეფასების აღდგენა	11
23.	დასკვნითი გამოცდის აღდგენა	11
24.	გამოცდის მიმდინარეობის გასაჩივრება	12
25.	შეფასების გასაჩივრება	12
26.	შეფასების სისტემა	13
27.	შედეგების საშუალო	13
28.	შედეგების საშუალო (წლიური, სემესტრული) კოეფიციენტი (GPA)	14
29.	შეფასების თავსებადობა	15
თავი VII . საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვა და შეფასება		16
30.	საკვალიფიკაციო ნაშრომი	16
31.	საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბჭო	16
32.	ჰუმანურ საკითხთა საბჭო	16
33.	საბაკალავრო ნაშრომის მოთხოვნები	16
34.	სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნები	17
35.	საკვალიფიკაციო თემის შერჩევა	17
36.	საბაკალავრო ნაშრომის კონცეფცია	17
37.	სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია	18
38.	საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი განაცხადი	18
39.	სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განაცხადი	18
40.	სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობა	19
41.	საბაკალავრო საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვა	19
42.	სამაგისტრო ნაშრომის დაცვა	19
43.	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა	19

თავი I. სტუდენტის სტატუსის მოპოვება და მართვა

1. ჩარიცხვის წინაპირობები

1. აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან უცხო ქვეყნის მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქისთვის კანონმდებლობით დადგენილ გამონაკლის შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის (დანართი №6) შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციისა და უნივერსიტეტის პრეზიდენტების (შემდეგში - "პრეზიდენტები") ბრძანების საფუძველზე.

2. აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (სამაგისტრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი სხვა წესის (დანართი №6) შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციისა და პრეზიდენტების ბრძანების საფუძველზე.

3. სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად პირი ვალდებულია შეავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე მითითებული ელექტრონულ განაცხადი, წარმოადგინოს ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები და გააფორმოს უნივერსიტეტთან ხელშეკრულება. წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, საბაკალავრო

პროგრამაზე ჩარიცხვისათვის - სკოლის ატესტატი, სამაგისტრო

პროგრამაზე ჩარიცხვისათვის - ბაკალავრის დიპლომი,

სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ფოტოსურათი (3X4)

პრეზიდენტების ბრძანებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

4. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტი/მაგისტრანტობის კანდიდატის (საერთაშორისო სტუდენტი) სტატუსის მოსაპოვებლად უნდა აკმაყოფილებდეს პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებს და ვალდებულია გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია საერთაშორისო სტუდენტის ჩარიცხვისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.

5. სავალდებულოა სარეგისტრაციო დოკუმენტების ელექტრონულ მატარებელზე წარმოდგენაც.

6. სარეგისტრაციო დოკუმენტები ინახება სტუდენტის პირად საქმეში. განცხადების საფუძველზე

სტუდენტი უფლებამოსილია გაითხოვოს სკოლის ატესტატი/დიპლომი განსაზღვრული ვადით, რისი

გადაცილება სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია.

2. ხელშეკრულების გაფორმება და სწავლის საფასურის გადახდის პირობები

1. სარეგისტრაციო დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე, სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება ხელშეკრულება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის ვადით. პირი ვალდებულია უნივერსიტეტთან ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი საბანკო დღის ვადაში გადაიხადოს სწავლების საფასურის ის ოდენობა, რომელიც აღემატება მოპოვებულ სახელმწიფო სასწავლო გრანტს.

სწავლის საფასურის გადახდის განსხვავებული წესი დგინდება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით. ხელშეკრულება ძალაშია ამ პუნქტით დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში სწავლის საფასურის გადახდის მომენტიდან.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში აბიტურიენტს/მაგისტრანტობის კანდიდატს უბრუნდება წარმოდგენილი დოკუმენტაცია და იგი არ ჩაირიცხება საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამაზე.

3. სწავლის საფასურის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ გარემოებათა არსებითი ცვლილებების დროს,

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ან/და საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად.

4. გადახდილი სწავლის საფასური სტუდენტს უკან უბრუნდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი სტატუსის შეწყვეტის შესახებ განცხადებით უნივერსიტეტს მიმართავს აკადემიური წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 4 კვირისა, ან მეორე სემესტრის დაწყებამდე. აკადემიური წლის დაწყებამდე სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისას უნივერსიტეტს უნარჩუნდება წლიური საფასურის 30 პროცენტი, სწავლის დაწყებიდან ოთხი კვირის განმავლობაში - 50 პროცენტი, მეორე სემესტრის დაწყებამდე - 75 პროცენტი.

5. სწავლის საფასურს აკლდება სახელმწიფო სასწავლო გრანტის შესაბამისი ოდენობა, სემესტრული გადახდის შემთხვევაში - შესაბამისი სასწავლო წლის მეორე სემესტრში.

6. სწავლის საფასურის გადახდისგან ნაწილობრივ/მთლიანად გათავისუფლებას ან გადახდის გადავადებასთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ შემთხვევებს განიხილავს უნივერსიტეტის სოციალურ საკითხთა კომისია, რომელსაც სტუდენტმა უნდა მიმართოს განცხადებით „ჩემი UG“-ის მეშვეობით პრეზიდენტების ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში.

3. სტუდენტის საიდენტიფიკაციო ბარათი

1. სტუდენტს გადაეცემა საიდენტიფიკაციო ბარათი უნიკალური ნომრით, რომელიც სტუდენტის საშვია უნივერსიტეტში და მის ელექტრონულ სამომხმარებლო არეში („ჩემი UG“). „ჩემი UG“ იძლევა სასწავლო პროცესთან (საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები, შეფასებები, საგამოცდო ცხრილი, და სხვა) ან სტუდენტურ ცხოვრებასთან (სტუდენტური კლუბები, ღონისძიებები და სხვა) დაკავშირებულ საჭირო ინფორმაციას. დაუშვებელია სხვა სტუდენტის საიდენტიფიკაციო ბარათით ან უნიკალური ნომრით სარგებლობა.

2. საიდენტიფიკაციო ბარათის დაკარგვის შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია მიმართოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს განცხადებით. საიდენტიფიკაციო ბარათის ღირებულება შედის სწავლის საფასურში. ფორმა მტკიცდება პრეზიდენტების ბრძანებით.

4. სტუდენტის პერსონალური მონაცემები

1. სტუდენტი ვალდებულია საკონტაქტო მონაცემების (მისამართი, ტელეფონის ნომერი) შეცვლის შემთხვევაში ერთი კვირის ვადაში დააფიქსიროს ცვლილება „ჩემი UG“-ის მეშვეობით. მონაცემებს ცვლის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური. სტუდენტის მიერ მონაცემების წარმოუდგენლობის გამო დამდგარ შედეგზე უნივერსიტეტი იხსნის პასუხისმგებლობას.

2. სტუდენტის შესახებ პერსონალური მონაცემების მესამე პირებზე გაცემა დაიშვება უნივერსიტეტის პრეზიდენტების ბრძანებით დამტკიცებული „სტუდენტის პერსონალური მონაცემების დაცვისა და სტუდენტის მინდობილ პირთან ურთიერთობის ინსტრუქციით“ ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

5. ინფორმაციის მართვა

1. სტუდენტის ინფორმირება ხდება ელექტრონული ფორმით „ჩემი UG“-ის მეშვეობით. სტუდენტი ვალდებულია დროულად გაეცნოს ადმინისტრაციის შეტყობინებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნივერსიტეტი იხსნის პასუხისმგებლობას დამდგარ შედეგზე.

2. სტუდენტის ყველა განცხადება მიიღება ელექტრონული ფორმით „ჩემი UG“-ის მეშვეობით. ინფორმაცია განცხადების სტატუსის შესახებ ხელმისაწვდომია განმცხადებლისთვის.

3. სტუდენტი უნივერსიტეტის ნებისმიერ თანამშრომელს უკავშირდება შეტყობინების ელექტრონული სისტემის საშუალებით.

თავი II. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

6. ადმინისტრაციული რეგისტრაცია

1. სტუდენტის ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს სარეგისტრაციო ვადებში სწავლის წლიური საფასურის სრულად გადახდას, ხოლო გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული სტუდენტის მიერ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენას.
2. პირველკურსელთათვის და მობილობით ჩარიცხული სტუდენტებისთვის რეგისტრაციის ვადები განისაზღვრება პრეზიდენტების ბრძანებით.
3. გაცვლითი სტუდენტის სტატუსი ენიჭება საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს, რომელიც გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აგროვებს კრედიტების განსაზღვრულ რაოდენობას პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
4. საბაკალავრო სწავლების სტუდენტი მომდევნო სასწავლო წელზე რეგისტრირდება არა უგვიანეს 15 ივნისისა. სამაგისტრო სწავლების სტუდენტი შემოდგომის სემესტრისათვის რეგისტრირდება არა უგვიანეს 30 ივნისისა, ხოლო გაზაფხულის სემესტრისათვის არა უგვიანეს 1 თებერვლისა. აკადემიურ წელზე/სემესტრზე რეგისტრაციის განსხვავებული ვადები შეიძლება დადგინდეს აკადემიური საბჭოს მიერ.
5. ერასმუს მუნდუსის პროგრამაში ჩართული გაცვლითი სტატუსის მქონე სტუდენტი გაცვლითი პროგრამის ხანგრძლივობით საქართველოს უნივერსიტეტში არ იხდის სწავლის საფასურს, ხოლო ინდივიდუალური მემორანდუმის საფუძველზე არსებული გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სტუდენტი იხდის საქართველოს უნივერსიტეტის მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობის შესაბამის თანხას თუ მემორანდუმის მიხედვით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7. ამოღებულია

8. აკადემიური რეგისტრაცია

1. საბაკალავრო სწავლების სტუდენტისათვის აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სასწავლო კომპონენტების არჩევას სემესტრის განმავლობაში არანაკლებ 30 კრედიტისა, (გარდა დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებისა და იმ შემთხვევისა როდესაც წინაპირობები არ იძლევა მეტ კრედიტზე დარეგისტრირების საშუალებას). კრედიტის ღირებულება ითვლება წლიური სწავლის საფასურის 60-ზე გაყოფით.
2. სამაგისტრო სწავლების სტუდენტისათვის აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სტუდენტის მიერ მინიმუმ სამი სასწავლო კომპონენტის (18 კრედიტი გარდა დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებისა) ან/და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის არჩევას.
3. საბაკალავრო სწავლების პირველ სემესტრში სტუდენტის აკადემიური რეგისტრაცია ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ. ყოველ მომდევნო სემესტრში, ისევე როგორც სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი აკადემიურ რეგისტრაციას ახდენს „ჩემი UG“-ის მეშვეობით პრეზიდენტების ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში.
4. სტუდენტს უფლება აქვს სემესტრის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში შეცვალოს არჩევანი ან აირჩიოს დამატებითი სასწავლო კომპონენტი/კომპონენტები. დამატებით სასწავლო კომპონენტზე რეგისტრაციის წინაპირობაა შესაბამისი კრედიტების ღირებულების გადახდა.
5. სტუდენტი უფლებამოსილია რეგისტრაციისას აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო ან არჩევითი სასწავლო კომპონენტები, ძირითადი და დამატებითი სპეციალობები.
6. განსაკუთრებულ შემთხვევებში, უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას შეცვალოს სტუდენტის მიერ არჩეული სასწავლო კომპონენტის დღე, დრო ან ლექტორი.

7. თუ სტუდენტს შეჩერებული აქვს სტატუსი და ამ დროის განმავლობაში განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირება, სტატუსის აღდგენის შემდეგ სტუდენტზე შესაძლოა გავრცელდეს პროგრამის მოდიფიცირებული მოთხოვნები პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით.

თავი III. მობილობა

9. სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა (შიდა მობილობა)

1. შიდა მობილობა ხორციელდება ახალი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე. დამატებითი პირობები დგინდება პრეზიდენტების ბრძანებით.
2. შიდა მობილობით სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლისას სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება მობილობით არჩეულ პროგრამაზე მისი უნივერსიტეტში ჩარიცხვის პერიოდისათვის დადგენილი გადასახადით.
3. კრედიტების აღიარების კომისია ადგენს სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგებისა და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული სასწავლო კომპონენტების თავსებადობას მობილობით გადასულ პროგრამაზე. კრედიტების აღიარების კომისიის მიერ კრედიტების თავსებადობის დადგენამდე სტუდენტი ვერ დარეგისტრირდება საგნებზე.
4. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი გადადის იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის პრიორიტეტული სასწავლო კომპონენტია მათემატიკა, სკოლა ვალდებულია ჩაუტაროს მათემატიკის ცოდნის შეფასების გამოცდა. ეს წესი ვრცელდება იმ სტუდენტზე, რომელსაც არ აქვს ჩაბარებული მათემატიკის ერთიანი ეროვნული გამოცდა.
5. მაგისტრანტის შიდა მობილობისას მხედველობაში მიიღება სტუდენტის მიერ ჩაბარებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების შესაბამისი საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების შესაბამისად.

10. გადაყვანის წესით ჩარიცხვა (მობილობა)

1. მობილობით ჩარიცხვის კანდიდატი ვალდებულია უნივერსიტეტს დამატებით წარუდგინოს:
 - ა) სტუდენტის სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი);
 - ბ) ამონაწერის სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანებიდან;
 - გ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ ან ამონაწერი სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის ბრძანებიდან.
2. კრედიტების აღიარების კომისია ადგენს სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ. ამ მიზნით კომისია უფლებამოსილია მოსთხოვოს სტუდენტს ჩაბარებული სასწავლო კომპონენტების სილაბუსები ან/და გამოცდის ჩაბარება. კრედიტების აღიარების კომისიის მიერ კრედიტების აღიარებამდე სტუდენტი ვერ დარეგისტრირდება საგნებზე.
3. მაგისტრანტის მობილობისას მხედველობაში მიიღება სტუდენტის მიერ ჩაბარებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების შესაბამისი საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების შესაბამისად.

თავი IV. სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა

11. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
 - ა) პირადი განცხადება,

ბ) ადმინისტრაციული რეგისტრაციის არ გავლა,

გ) აკადემიური რეგისტრაციის არ გავლა.

დ) ამ დებულების პირველი მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა.

2. სტატუსის შეჩერების მოთხოვნით, სტუდენტი უნივერსიტეტს წარუდგენს წერილობით განცხადებას. სტატუსის შეჩერების მოთხოვნა სტუდენტს შეუძლია შესაბამისი სემესტრის დასკვნით გამოცდებამდე.

3. პირადი განცხადებით სტუდენტის სტატუსის შეჩერებისას, სტუდენტს გადახდილი სწავლის საფასური შეენახება შემდეგ შემთხვევებში:

ა) სრულად, თუ სტატუსის შეჩერება განხორციელდა სასწავლო წლის დაწყებიდან პირველი ოთხი კვირის განმავლობაში;

ბ) წლიური სწავლის საფასურის ნახევარი, თუ სტატუსის შეჩერება განხორციელდა სასწავლო წლის დაწყებიდან ოთხი კვირის შემდეგ, მაგრამ დასკვნით გამოცდებამდე, ასევე გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე;

გ) წლიური სწავლის საფასურის მეოთხედი, თუ სტატუსის შეჩერება განხორციელდა გაზაფხულის სემესტრის დაწყებიდან პირველი ოთხი კვირის განმავლობაში.

4. შენახული სწავლის საფასურის გამოყენება სტუდენტს შეეძლება საქართველოს უნივერსიტეტში სტატუსის აღდგენის შემთხვევაში.

5. შენახული სწავლის საფასური სტუდენტს უკან უბრუნდება შემდეგი წესით და ოდენობით:

თუ სტუდენტმა, რომელსაც შეჩერებული აქვს სტატუსი თანხის დაბრუნების შესახებ განცხადებით მიმართა უნივერსიტეტს აკადემიური წლის დაწყებამდე უნივერსიტეტს უნარჩუნდება სწავლის წლიური საფასურის 30 პროცენტი, სწავლის დაწყებიდან ოთხი კვირის განმავლობაში - 50 პროცენტი, მეორე სემესტრის დაწყებამდე - 75 პროცენტი.

6. მობილობის წესით ჩარიცხულ ან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხულ სტუდენტებზე ამ მუხლით გათვალისწინებული ვადის ათვლა იწყება ჩარიცხვის ბრძანების თარიღიდან.

7. სემესტრის მიმდინარეობისას სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტს უუქმდება შუალედური შეფასებები. იმავე სემესტრში სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში შესაძლებელია აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით სტუდენტს აღუდგეს შუალედური შეფასებები.

8. სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, უნივერსიტეტი და სტუდენტი თავისუფლდებიან ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც წარმოიშვა სტატუსის შეჩერებამდე.

12. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. სტუდენტის სტატუსის აღდგენისთვის განცხადება მიიღება:

ა) შემოდგომის სემესტრიდან სწავლის გასაგრძელებლად - 20 მაისიდან 15 ივნისამდე;

ბ) გაზაფხულის სემესტრიდან სწავლის გასაგრძელებლად - 30 სექტემბრიდან 20 ნოემბრამდე;

2. სტუდენტის მიერ სტატუსის აღდგენის ვადის გადაცილებისას, სტატუსის აღდგენის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო. სტატუსის აღდგენის მოთხოვნის დაკმაყოფილებისას აკადემიური საბჭო განსაზღვრავს სტატუსის აღდგენის პირობებს.

3. სტუდენტის სტატუსის აღდგენის წინაპირობაა:

ა) სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, თუ სტატუსის შეჩერების საფუძველი ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობა იყო; ბ) ამოღებულია.

გ) სტატუსის შეჩერების სხვა მიზეზის აღმოფხვრა.

4. სტუდენტს სტატუსი არ აღუდგება, თუ არსებობს ამ დებულებით გათვალისწინებული სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

13. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- ა) სტუდენტის სტატუსის 5 წელზე მეტი ხნით შეჩერება;
- ბ) სწავლის შედეგების მიუღწევლობა;
- გ) შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
- დ) პირადი განცხადება;
- ე) დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილება;
- ვ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის წესით გადასვლა.

თავი V. სასწავლო პროცესი

14. სწავლის ხანგრძლივობა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს (8 სემესტრს), ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა 300/360 კრედიტს (10/12 სემესტრი), ხოლო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - 120 კრედიტს (4 სემესტრს).

15. სწავლების ენა

საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სწავლების ენა შეიძლება იყოს ქართული ან უცხოური ენა. ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ცალკეულ სასწავლო კომპონენტში, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, სწავლება შეიძლება მიმდინარეობს უცხოურ ენაზეც.

16. სასწავლო პროცესის მიმდინარეობა

1. სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად.
2. სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს:
 - ა) მარტიდან - 28 აგვისტოს,
 - ბ) გიორგობას - 23 ნოემბერს,
 - გ) დამოუკიდებლობის დღეს - 26 მაისს,
 - დ) 30 დეკემბრიდან 7 იანვრის ჩათვლით,
 - ე) აღდგომის კვირას - აღდგომის წინა ოთხშაბათიდან მომდევნო კვირის სამშაბათის ჩათვლით; ვ) აგვისტო.
3. სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფებში განისაზღვრება 25, გამონაკლისის სახით - 50 სტუდენტით. საბაკალავრო სწავლების საფეხურზე ჯგუფში - 20-ზე, ხოლო სამაგისტრო სწავლების საფეხურზე ჯგუფში - 10-ზე ნაკლები სტუდენტის დარეგისტრირების შემთხვევაში, უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას არ გახსნას ჯგუფი.

17. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა

1. სტუდენტის დატვირთვა აისახება კრედიტებში. ერთი კრედიტი 25 ასტრონომიული საათია.
2. სტუდენტის დატვირთვა განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის სილაბუსით და მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს, ცოდნის შეფასების ფორმების/კომპონენტების მომზადება-ჩაბარებას.
3. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

3.1. დამოუკიდებელ საათს განეკუთვნება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო.

3.2. საკონტაქტო საათი - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალი ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო. მათ შორის ლექცია, სემინარი, კურაცია, სტაჟირება/პრაქტიკა, იმიტირებული სასამართლო პროცესი და შეფასების ფორმების ჩაბარებისთვის განსაზღვრული დრო.

4. სასწავლო კომპონენტებია:

ა) ლექცია (ლექციის მიმდინარეობისას ხდება ახალი თეორიული მასალის გაცნობა);

ბ) სემინარი (სემინარის დროს მიმდინარეობს დისკუსია და ყოველკვირეული გამოკითხვა (ქვიზი);

გ) კურაცია,

დ) სტაჟირება/პრაქტიკა,

ე) კვლევითი პროექტი,

ვ) იმიტირებული სასამართლო პროცესი,

ზ) ლაბორატორიული მეთოდები.

თ) პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია განსხვავებული კომპონენტის არსებობა, რომელიც გაწერილია შესაბამისი პროგრამის სილაბუსით.

5. ლექციის ხანგრძლივობაა 60 წუთი. შესვენების ხანგრძლივობა – ბაკალავრიატში 10 წუთი; მაგისტრატურაში – 15 წუთი.

6. ამოღებულია

7. სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე უნივერსიტეტში მოქმედებს მექანიზმი, რომლის საფუძველზე ხორციელდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის შესახებ სტუდენტის განცხადება განიხილება აკადემიურ საბჭოზე. უნივერსიტეტი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპით, განსაზღვრავს სტუდენტისთვის პროგრამას, საათობრივ დატვირთვას, მეთოდებს და ა.შ.

თავი VI. სტუდენტის ცოდნის შეფასება

18. შეფასების ფორმები

1. სწავლის შედეგზე გასასვლელად გამოიყენება ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტური სისტემა, რომელიც სემესტრის განმავლობაში სტუდენტის ცოდნის ეტაპობრივად შეფასების საშუალებას იძლევა და მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ თითოეული პროგრამისთვის.

2. შეფასების ფორმები მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.

2.1. შუალედური შეფასების ფორმებია:

2.1.1. ყოველკვირეული შეფასება (ქვიზი),

2.1.2. რეფერატი ან სხვა აქტივობა, რომელიც შეიძლება ითვალისწინებდეს პრეზენტაციას,

2.1.3. შუალედური

გამოცდა/კოლოქვიუმი,

2.1.4. 2.1.4 პრაქტიკული უნარების შეფასება

2.2. დასკვნითი შეფასების ფორმაა დასკვნითი გამოცდა.

2.3. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია განსხვავებული შეფასების ფორმების არსებობა, რომელიც გაწერილია შესაბამისი პროგრამის სილაბუსით.

19. შეფასების ფორმების ადმინისტრირება

1. საბაკალავრო სწავლების საფეხურზე შუალედური შეფასების ადმინისტრირებას ახორციელებს შესაბამისი სკოლა; სამაგისტრო სწავლების საფეხურზე შუალედური გამოცდის ადმინისტრირებას ახორციელებს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური.
2. დასკვნითი გამოცდის ადმინისტრირებას ახორციელებს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური.
3. სამაგისტრო სწავლების საფეხურზე შუალედური გამოცდის ჩატარებამდე, ასევე საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე დასკვნითი გამოცდების ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე, სტუდენტს ეცნობება გამოცდის თარიღი, დრო, აუდიტორია და მისთვის განკუთვნილი ადგილი.
4. ზეპირი კომპონენტის არსებობის შემთხვევაში, დასკვნით გამოცდას ატარებს კომისია შესაბამისი სკოლის დირექტორის ან დეპარტამენტის ხელმძღვანელის თავმჯდომარეობით. კომისია შედგება მინიმუმ სამი წევრისგან.
5. საბაკალავრო სწავლების საფეხურზე შუალედურ გამოცდას ეთმობა ერთი ასტრონომიული საათი, სამაგისტრო სწავლების საფეხურზე შუალედურ გამოცდას ეთმობა - 2 ასტრონომიული საათი; ხოლო დასკვნით გამოცდას - სამი ასტრონომიული საათი. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია განსხვავებული რეგულაციის არსებობა, რომელიც გაწერილია შესაბამისი პროგრამის სილაბუსით.
6. სტუდენტის მიერ დამხმარე მასალის (მაგ.: სახელმძღვანელო, კოდექსი) გამოყენების შესაძლებლობა წინასწარ ეცნობება სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს.
7. რექტორის ნებართვით დასკვნით გამოცდაზე დასწრების უფლება აქვს სტუდენტური თვითმმართველობის წევრს ან სხვა დაინტერესებულ პირს.

20. გამოცდაზე დაშვების პირობები

1. სტუდენტის გამოცდაზე დაშვების პირობაა მითითებულ საგამოცდო დროს უნივერსიტეტში გამოცხადება, საიდენტიფიკაციო ბარათის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარმოდგენა და მისთვის განკუთვნილი ადგილის დაკავება.
2. დასკვნით გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

21. გამოცდაზე ქცევის წესები

1. საგამოცდო პროცესის მიმდინარეობისას არ არის ნებადართული:
 - ა) საგამოცდო ნაშრომში სახელის, გვარის ან რაიმე სახის მინიშნება სტუდენტის პიროვნების ამოსაცნობად,
 - ბ) საგამოცდო საკითხების გაცნობა საგამოცდო დროის დაწყებამდე,
 - გ) საუბარი ან სხვა სახის მინიშნება,
 - დ) ნებისმიერი დამხმარე საშუალების გამოყენება,
 - ე) საგამოცდო ნაშრომის ჩაბარებამდე საგამოცდო აუდიტორიის დატოვება,
 - ვ) ჩართული მობილური
2. პირველი პუნქტით განსაზღვრული ქმედებისას სტუდენტი იხსნება გამოცდიდან და ფორმდება ოქმი. ნაშრომი არ ფასდება. სტუდენტი კარგავს ამ გამოცდის აღდგენის უფლებას.
3. შეკითხვის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა აიწიოს ხელი და დამკვირვებლის მისვლის შემდგომ დასვას შეკითხვა.
4. გამოცდის მიმდინარეობისას ნებადართულია წყლისა და მედიკამენტების, ასევე სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსის მიერ გამოცდის საჭიროებებიდან გამომდინარე დაშვებული სხვა ნივთებისა თუ სასწავლო მასალის გამოყენება.

22. შუალედური შეფასების აღდგენა

1. საბაკალავრო სწავლების საფეხურზე თუ სტუდენტი საპატიო მიზეზით აცდენს საგანში შუალედური შეფასებას, მას აღუდგება 1 საგანში მხოლოდ 1 შუალედური შეფასების ფორმა. სამაგისტრო სწავლების საფეხურზე თუ სტუდენტის მიერ გაცდენა საპატიო მიზეზით ხდება, მას აღუდგება აღნიშნული შუალედური გამოცდა.

1.1. საპატიო მიზეზად მიიჩნევა:

1.1.1. ჯანმრთელობის მდგომარეობა;

1.1.2. ოჯახის წევრის/ახლო ნათესავის გარდაცვალება;

1.1.3. სახელმწიფო სამსახურში გამოცხადების აუცილებლობა;

1.1.4. საკუთარი ან ოჯახის წევრის ქორწილი

1.1.5. შვილის შეძენა

1.1.6. ეროვნულ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობა

1.1.7. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა

1.2. სამაგისტრო სწავლების საფეხურზე თუ სტუდენტი არასაპატიო მიზეზით აცდენს შუალედურ გამოცდას, გამოცდის აღდგენის შესახებ სტუდენტი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს მიმართავს არაუგვიანეს გამოცდის ჩატარების მომდევნო ორი სამუშაო დღისა. განცხადებას უნდა დაერთოს გამოცდის აღდგენის საფასურის გადახდის ქვითარი. გამოცდის აღდგენის საფასური დგინდება პრეზიდენტების ბრძანებით.

2. მობილობით გადმოსულ და გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებს, რომლებიც დაგვიანებით შეურთდნენ სასწავლო პროცესს აღუდგებათ ყველა შუალედური შეფასება, რომელიც ჩატარდა სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართვამდე.

3. საბაკალავრო სწავლების საფეხურზე, სტუდენტს უფლება აქვს შუალედური შეფასების აღდგენის შესახებ განცხადება დაწეროს შესაბამისი სკოლის დირექტორის სახელზე მე-13 კვირას. განცხადებაში უნდა მიუთითოს კონკრეტულად რომელი შუალედური შეფასების ფორმის აღდგენას ითხოვს და თან დაურთოს საპატიო მიზეზით გაცდენის დამადასტურებელი ცნობა.

3¹ სამაგისტრო სწავლების საფეხურზე, სტუდენტი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შუალედური გამოცდის/კოლოქვიუმის გაცდენის შემთხვევაში, განცხადებას წერს ჩემი UG-ის მეშვეობით შესაბამის შაბლონზე, არაუგვიანეს შუალედური გამოცდის მეორე დღისა; აღნიშნულს განიხილავს ექიმი და ავადმყოფობის საპატიო მიზეზად ჩათვლის შემთხვევაში დაკმაყოფილებულ განცხადებას გადასცემს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს; სტუდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ავადმყოფობის შესახებ ცნობა შუალედური გამოცდის/კოლოქვიუმის ჩატარებიდან 3 დღის ვადაში; ცნობაში მითითებული უნდა იყოს, რომ კონკრეტულად გამოცდის მიმდინარეობის დროს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ ჰქონდა სტუდენტს შესაძლებლობა დასწრებოდა გამოცდას; ექიმის მიერ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში გამოცდა აღდგენას არ ექვემდებარება. შუალედური გამოცდის/კოლოქვიუმის სხვა მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, გამოცდის აღდგენის უფლების მოსაპოვებლად სტუდენტმა ჩემი UG-ის მეშვეობით უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს არაუგვიანეს გამოცდის ჩატარების მომდევნო სამუშაო დღისა და გამოცდის აღდგენამდე წარმოადგინოს საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. საბაკალავრო სწავლების საფეხურზე სტუდენტს საპატიო მიზეზით შუალედური შეფასების გაცდენის შემთხვევაში დაენიშნება შუალედური შეფასების აღდგენა მე-14 კვირას.

4¹ სამაგისტრო სწავლების საფეხურზე სტუდენტს შუალედური გამოცდის/კოლოქვიუმის გაცდენის შემთხვევაში, აღდგენა ინიშნება მომდევნო კვირის განმავლობაში.

23. დასკვნითი გამოცდის აღდგენა

1. დასკვნითი გამოცდის აღდგენა ტარდება მხოლოდ ერთხელ გამოცდის აღდგენის კვირაში. დასკვნითი გამოცდის აღდგენის ვადა არ შეიძლება სცდებოდეს სასწავლო სემესტრის დასრულების ვადას. დასკვნით და

შესაბამისი გამოცდის აღდგენას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა. აღდგენის ცხრილი სტუდენტს ეცნობება „ჩემი UG“-ის საგამოცდო ცხრილის მეშვეობით გამოცდის ჩატარებამდე მინიმუმ ორი დღით ადრე.

2. ავადმყოფობის გამო დასკვნითი გამოცდის გაცდენის შემთხვევაში სტუდენტი წერს განცხადებას ჩემი UG-ის მეშვეობით შესაბამის შაბლონზე, არაუგვიანეს დასკვნით გამოცდის მეორე დღისა, რომელსაც განიხილავს ექიმი და ავადმყოფობის საპატიო მიზეზად ჩათვლის შემთხვევაში დაკმაყოფილებულ განცხადებას გადასცემს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს.

2.1. სტუდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ავადმყოფობის ცნობა დასკვნითი გამოცდის ჩატარებიდან 3 დღის ვადაში. ცნობაში მითითებული უნდა იყოს, რომ კონკრეტულად გამოცდის მიმდინარეობის დროს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ ქონდა სტუდენტს შესაძლებლობა დასწრებოდა გამოცდას.

3. დასკვნითი გამოცდის სხვა მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, გამოცდის აღდგენის უფლების მოსაპოვებლად სტუდენტმა „ჩემი UG“-ის მეშვეობით უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს არაუგვიანეს გამოცდის ჩატარების მომდევნო სამუშაო დღისა და გამოცდის აღდგენამდე წარმოადგინოს საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი. გამოცდის გაცდენის საპატიო მიზეზებია: ოჯახის წევრის/ახლო ნათესავის გარდაცვალება, მაგისტრანტის სამსახურებრივი მივლინება ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა. გამოცდის გაცდენის მიზეზის საპატიოდ ჩათვლის შემთხვევაში, სტუდენტი გამოცდას აღადგენს გადასახადის გადახდის გარეშე.

4. სტუდენტი, რომელიც გამოირჩევა მნიშვნელოვანი წარმატებებით საზოგადოებრივი საქმიანობის, სპორტის ან ხელოვნების სფეროში, კერძოდ, თუ სტუდენტი არის საქართველოს ან საერთაშორისო ტურნირების, საერთაშორისო კონკურსების, ფესტივალების გამარჯვებული, პრიზიორი, ლაურიატი და სხვა შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში სარგებლობს იმ გამოცდის უფასოდ აღდგენის უფლებით, რომლის გაცდენის მიზეზი შესაბამის ღონისძიებაში მონაწილეობაა. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს გამოცდამდე არანაკლებ ერთი სამუშაო დღით ადრე და განცხადებას დაურთოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

5. არასაპატიო მიზეზით გაცდენილი გამოცდის აღდგენის შემთხვევაში სტუდენტი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს მიმართავს არაუგვიანეს გამოცდის ჩატარების მომდევნო ორი სამუშაო დღისა. განცხადებას უნდა დაერთოს გამოცდის აღდგენის საფასურის გადახდის ქვითარი. გამოცდის აღდგენის საფასური დგინდება პრეზიდენტების ბრძანებით.

6. ექიმის მიერ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში გამოცდა აღდგენას არ ექვემდებარება.

24. გამოცდის მიმდინარეობის გასაჩივრება

1. შუალედური შეფასების ფორმის/დასკვნითი გამოცდის მიმდინარეობით უკმაყოფილების შემთხვევაში სტუდენტი უფლებამოსილია გამოცდის ჩატარების დღეს „ჩემი UG“-ის მეშვეობით მიმართოს სასწავლო სამეცნიერო დარგში პრო-რექტორს.
2. სასწავლო სამეცნიერო დარგში პრო-რექტორი განიხილავს სტუდენტის საჩივარს. სტუდენტის საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გამოცდების აღდგენის კვირაში დაინიშნება ხელახალი გამოცდა და წინა გამოცდის შედეგები ანულირდება. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

25. შეფასების გასაჩივრება

1. სტუდენტი უფლებამოსილია გაეცნოს ნაშრომს და გაასაჩივროს შუალედურ შეფასებაში მიღებული შედეგი მიღებული შეფასების UG სისტემაში ასახვიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. შუალედური შეფასების გასაჩივრებაზე დასაშვებობაზე გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი სკოლის დეპარტამენტის უფროსი.
2. დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა სტუდენტი უფლებამოსილია „ჩემი UG“-ის მეშვეობით განცხადებით მიმართოს მისი სკოლის დირექტორს/დეპარტამენტის უფროსს და გაასაჩივროს დასკვნითი გამოცდის შედეგი. სტუდენტმა განცხადებაში უნდა მიუთითოს თუ რომელ საკითხს ან შეფასების რა ნაწილს აპროტესტებს. ზოგადი საჩივარი არ განიხილება. განცხადების მიღებიდან 7 დღის ვადაში სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს განცხადების განხილვასა და შედეგების სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურისათვის მიწოდებას.

26. შეფასების სისტემა

1. უნივერსიტეტში მოქმედებს 100 ქულიანი შეფასების სისტემა.
2. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი დამლეულია 51 ქულის (51%) მიღების შემთხვევაში.
3. სტუდენტი, რომელმაც ვერ მიიღო დასკვნითი გამოცდის ჩაბარებისათვის დადგენილი მინიმალური ქულა (ბაკალავრიატი-20, მაგისტრატურა- 21), მაგრამ შუალედურ შეფასებათა ფორმების ერთობლიობით უგროვდება 41 ქულა და მეტი, დაიშვება დამატებით გამოცდაზე.
4. სტუდენტი, რომელმაც მიიღო დასკვნითი გამოცდის ჩაბარებისათვის დადგენილი მინიმალური ქულა, მაგრამ ვერ დააგროვა 51 ქულა, მაგრამ დააგროვა მინიმუმ 41 ქულა, დაიშვება დამატებით გამოცდაზე.
5. დამატებითი გამოცდა დაუშვებელია ჩატარდეს ძირითადი გამოცდის ჩატარებიდან არანაკლებ 5 დღეში. გამოცდაზე გასვლის მსურველმა განცხადებით უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგების გამოქვეყნების დღე ითვლება პირველ დღედ.
6. კომპონენტში სტუდენტის შეფასებისას საბოლოო ქულა მრგვალდება მთელ რიცხვამდე. ხუთი მეათედი ან ხუთი მეასედი მრგვალდება მეტობით.
7. ცოდნის შემოწმების შედეგები მონაცემთა ბაზაში აისახება შემდეგ ვადებში:
 - ა) ყოველკვირეული შუალედური შეფასების შედეგები ხუთ სამუშაო დღეში,
 - ბ) შუალედური გამოცდის შედეგები ათ სამუშაო დღეში,
 - გ) დასკვნითი გამოცდის შედეგები შვიდ სამუშაო დღეში,
 - დ) პრეზენტაციის შედეგები ოთხ სამუშაოდღეში.
8. სტუდენტის პრეტენზია შეფასების არარსებობაზე მიიღება შედეგების ასახვის ვადის გასვლიდან 5 დღის ვადაში.
16. სტუდენტი შეფასებისას ინდივიდუალურად იღებს ინფორმაციას მიღწეული შედეგების ნაკლოვანებების და შედეგის გაუმჯობესების გზების შესახებ.

27. შედეგების საშუალო

1. შედეგების საშუალო ქულა დგინდება შემდეგნაირად:

ა) შესაბამის პერიოდში არჩეულ ყოველ კომპონენტში (საგანი, ლაბორატორია, ნაშრომი,...) მიღებული ქულისა და კრედიტის ნამრავლების ჯამი იყოფა ამავე კომპონენტების კრედიტების ჯამზე. თითოეული კომპონენტი იანგარიშება შესაბამის პერიოდში (წლიურად, სემესტრულად) ერთხელ, მაქსიმალური შეფასებით. გამოსათვლელი ფორმულა:

$$(\sum K_n * Q_n) / \sum K_n,$$

სადაც K_n არის კომპონენტის კრედიტი, Q_n მიღებული ქულა, n არჩეული კომპონენტების რაოდენობა. თითოეული კომპონენტში მიღებული Q_n ქულა ფორმულაში მონაწილეობს ერთხელ, შესაბამისი პერიოდში (წლიურად, სემესტრულად) მიღებული მაქსიმალური შეფასებით.

2. შედეგების საშუალო ქულა გამოითვლება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს.

3. თუ შედეგების საშუალო არანაკლებ 91-ია სტუდენტს ეძლევა სტიპენდია. სტიპენდიის მიღების წინაპირობაა წლიური 60 კრედიტის დაგროვება და სტუდენტის სტატუსის შენარჩუნება საქართველოს უნივერსიტეტში; სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტიპენდია გაიცემა სტატუსის აღდგენის შემდეგ; ხოლო დამამთავრებელი სემესტრის მქონე სტუდენტებს, სტიპენდია ეძლევათ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების გამო სტატუსის შეწყვეტის შემდეგ.

4. სწავლის შედეგები მიღწეულია თუ:

ა) სტუდენტმა დაძლია ყველა კომპონენტი;

ბ) სტუდენტის შედეგების საშუალო არანაკლებ 51-ია.

5. თუ შედეგების საშუალო 51-ზე ნაკლებია, (სანამ უკანასკნელი აკადემიური წლის ჩათვლით გავლილი/ჩათვლილი კომპონენტების კრედიტების ჯამი არ აღემატება 60-ს) სტუდენტი ექცევა „გამოსაცდელი ვადის“ რეჟიმში და ეძლევა დამატებითი 1 (ერთი) წელი შედეგების საშუალოს გასაუმჯობესებლად. გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ, შედეგების საშუალო ითვლება გავლილი კომპონენტების შესაბამისად, ხოლო სწავლის შედეგები მიუღწეველია, თუ შედეგების საშუალო 51-ზე ნაკლებია.

28. შედეგების საშუალო (წლიური, სემესტრული) კოეფიციენტი (GPA)

1. შედეგების საშუალოს კოეფიციენტი დგინდება შემდეგნაირად:

2. 51-ზე ნაკლები საშუალო ქულის მქონე სტუდენტის (GPA) 0-ის ტოლია. სტუდენტთა მიერ დაგროვებული (51-ზე მეტი) ქულებით დგება რანჟირებული სია (დალაგებული კლებადობით).

თითოეული ქულა ხვდება გარკვეულ პროცენტულ შუალედში. რანჟირებული სიის თავში მოქცეული 4 % ცხრილში მოცემული პირველი გრაფის (97-100 (%)) რანგის) შესატყვისი იქნება, შემდეგი 3% 94-96 (%)) რანგის, და ა.შ.

3. სტუდენტს ამ განაწილების მიხედვით ენიჭება (წლიური, სემესტრული) საუნივერსიტეტო შეფასება და შედეგების საშუალოს საშუალო კოეფიციენტი (GPA). (შენიშვნა: 51-ზე მეტი საშუალო ქულის მქონე სტუდენტთაგან უდიდესი ქულის მქონე მოხვდება 97-100 პროცენტულ რანგში და მას ცხრილის მიხედვით მიენიჭება საუნივერსიტეტო შეფასება $A+$, ხოლო მისი GPA იქნება 4,00-ის ტოლი. 51-ზე მეტი საშუალო ქულის მქონე სტუდენტთაგან უმცირესი ქულის მქონე მოხვდება 51-60 პროცენტულ რანგში და მას ცხრილის მიხედვით მიენიჭება საუნივერსიტეტო შეფასება E , ხოლო მისი GPA იქნება 1,00-ის ტოლი.)

პროცენტული რანგი	საუნივერსიტეტო შეფასება	შედეგების საშუალოს კოეფიციენტი (GPA)
97-100	A+	4,00
94-96	A	3,75
91-93	A-	3,50
87-90	B+	3,25
84-86	B	3,00
81-83	B-	2,75
77-80	C+	2,50
74-76	C	2,25
71-73	C-	2,00
67-70	D+	1,75
64-66	D	1,50
61-63	D-	1,25
51-60	E	1,00

2. შედეგების საშუალო კოეფიციენტი გამოითვლება ყოველი წლის ბოლოს.

3. 2015-2016 სასწავლო წლიდან ჯგუფები იქმნება ბოლო სემესტრის მიხედვით გამოთვლილი სწავლის შედეგების საშუალო კოეფიციენტის (GPA) გათვალისწინებით. სტუდენტებისათვის, რომელთა ბოლო სემესტრის მიხედვით გამოთვლილი სწავლის შედეგების საშუალო კოეფიციენტი (GPA) 2,00 (C-) და მეტია, იქმნება ცალკე ჯგუფები, ხოლო სტუდენტებისათვის, რომელთა ბოლო სემესტრის მიხედვით გამოთვლილი სწავლის შედეგების საშუალო კოეფიციენტი (GPA) 2,00 (C-)-ზე ნაკლებია იქმნება ცალკე ჯგუფები. მობილობით გადმოსული სტუდენტებისათვის GPA გამოითვლება საშუალო არითმეტიკულით. ამ პუნქტით დადგენილი ჯგუფების შექმნის წესის შეცვლის უფლება აქვს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსს, თუ სტუდენტთა რაოდენობა მცირეა და ცალ-ცალკე ჯგუფების შექმნა შეუძლებელია ან არსებობს სხვა ობიექტური გარემოება.

4. ერთიანი ეროვნული გამოცდებით/საერთო სამაგისტრო გამოცდებით ჩარიცხულ პირველ კურსელთა ჯგუფები პირველი სემესტრისათვის იქმნება გამოცდებზე მიღებული საბოლოო სკალირებული ქულების გათვალისწინებით.

29. შეფასების თავსებადობა

საუნივერსიტეტო შეფასების თავსებადობა შედეგების საშუალოს კოეფიციენტსა და საქართველოში მოქმედ ზოგად შეფასებასთან გამოსახება შემდეგი სახით:

შედეგების საშუალო	შედეგების საშუალოს კოეფიციენტი (GPA)	საუნივერსიტეტო შეფასება	საქართველოში მოქმედი ზოგადი შეფასება	
97-100	4,00	A+		
94-96	3,75	A	A	ფრიადი
91-93	3,50	A-		
87-90	3,25	B+		
84-86	3,00	B	B	ძალიან კარგი
81-83	2,75	B-		
77-80	2,50	C+		
74-76	2,25	C	C	კარგი
71-73	2,00	C-		
67-70	1,75	D+		
64-66	1,50	D	D	დამაკმაყოფილებელი
61-63	1,25	D-		
51-60	1,00	E		
უარყოფითი შეფასება				
41-50		FX	FX	ვერ ჩააბარა
<40		F	F	ჩაიჭრა

თავი VII . საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვა და შეფასება

30. საკვალიფიკაციო ნაშრომი

1. სტუდენტს უფლება აქვს შეასრულოს საბაკალავრო ნაშრომი სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე.
2. სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის შესრულების უფლება აქვს თუ მას უკვე შესრულებული აქვს 78 კრედიტი.

31. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბჭო

1. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბჭო იქმნება სკოლის საბჭოს მიერ და შედგება საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელის, ექსპერტის და საბჭოს თავმჯდომარისაგან.
2. მხოლოდ უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს უფლება უხელმძღვანელოს სტუდენტის მიერ საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულებას. თანახელმძღვანელი შესაძლებელია შეირჩეს უნივერსიტეტის მოწვეული პერსონალიდან.
3. საბაკალავრო ნაშრომის ექსპერტად შეირჩევა პირი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიდან, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის ექსპერტად დასაშვებია სხვა პირის მოწვევაც.
4. ნაშრომის მომზადებაში სტუდენტს ეხმარება ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი. სტუდენტს/სტუდენტებს და ხელმძღვანელს შორის იმართება ყოველკვირეული შეხვედრები უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ფიქსირებულ დროს. სავალდებულო შეხვედრების რაოდენობაა 10. ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ გაცდენილი შეხვედრა აღდგება ლექცია/სემინარის აღდგენის წესის შესაბამისად.

32. ჰუმანურ საკითხთა საბჭო

1. ჰუმანურ საკითხთა საბჭოს შემადგენლობაში შედის სამართლის სკოლის დირექტორი, ჯანდაცვის სკოლის დირექტორი და საუნივერსიტეტო სკოლების პროფესორისაგან სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უფროსის მიერ შერჩეული წევრი. ჰუმანურ საკითხთა საბჭოს წევრი შეიძლება იყოს სკოლის დირექტორი, იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის დაცვის საბჭოს თავმჯდომარე. ჰუმანურ საკითხთა საბჭოს წევრები ინიშნებიან სამი წლის ვადით.
2. სტუდენტი ვალდებულია მიმართოს ჰუმანურ საკითხთა საბჭოს კვლევის ინსტრუმენტის დამტკიცებისთვის.
3. კვლევის დაწყებამდე ამოწმებს საკვლევად გამზადებულ კითხვარს, ტესტს თუ სხვა მასალას და ადგენს არღვევს თუ არა საქართველოს კანონმდებლობას, ლახავს თუ არა ადამიანის უფლებებს და ღირსებას, ან არის თუ არა საშიში ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის.

33. საბაკალავრო ნაშრომის მოთხოვნები

1. ნაშრომის მოცულობა ბაკალავრიატის საფეხურზე შეადგენს - 14 000-18 000 სიტყვა (დაახლოებით 60-80 გვერდი), გამონაკლისია: 1. ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა, რომელშიც ნაშრომის მოცულობა შეადგენს - 6 000-8 000 სიტყვას (დაახლოებით 30-40 გვერდი), 2. მეცნიერების და ტექნოლოგიის სკოლა, რომელშიც ნაშრომის მოცულობა შეადგენს მინიმუმ 8 000 სიტყვას.
- საბაკალავრო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესი და შეფასების კრიტერიუმები მოცემულია დანართ №1-სა და დანართ №2-ში.

2. სტუდენტი ვალდებულია თითოეული კომპონენტი შეასრულოს და გადაუგზავნოს საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერს დებულებით დადგენილი ვადების დაცვით. თუ გადაგზავნის ვადები არ იქნა დაცული, სტუდენტს კომპონენტის დაცვის თარიღები შესაძლოა გადაუვადდეს ერთჯერადად ერთი კვირით.
3. წინასწარი განაცხადი და საბოლოო ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ტექნიკური გაფორმების წესის დაცვით. დაცვის წინ საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი ადასტურებს ან უარყოფს ტექნიკური გაფორმების წესთან თავსებადობას, რაც წარმოადგენს საბჭოზე ნაშრომის მიღება/არ მიღების საფუძველს. ხარვეზის გამოსასწორებლად სტუდენტს ეძლევა 5 სამუშაო დღე.
4. საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადებისას საბაკალავრო საფეხურზე აუცილებელია გამოყენებულ იქნას მინიმუმ 10 ნაშრომი (სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში 20).
5. საბაკალავრო ნაშრომის კონცეფციის დამტკიცებაზე, წინასწარ განაცხადსა და დაცვაზე სტუდენტი დაიშვება მხოლოდ ხელმძღვანელის რეკომენდაციით. ექსპერტის და საბჭოს თავმჯდომარის შენიშვნები განიხილება საბჭოს სხდომაზე.
6. ნაშრომის წარდგენის ყველა ეტაპზე აუცილებელია სტუდენტის დასწრება.
7. საბაკალავრო ნაშრომის თითოეული ეტაპის დაცვა გაიმართება თუ მას ესწრება საბჭოს წევრების ნახევარზე მეტი.
8. საბაკალავრო ნაშრომის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა.

34. სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნები

1. ნაშრომის მოცულობა მაგისტრატურის საფეხურზე შეადგენს 18 000 – 23 000 სიტყვა (დაახლოებით 80-100 გვერდი), გამონაკლისია: 1. ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა, რომელშიც ნაშრომის მოცულობა შეადგენს - 12 000-14 000 სიტყვა (დაახლოებით 60-70 გვერდი), 2. მეცნიერების და ტექნოლოგიების სკოლა, რომელშიც ნაშრომის მოცულობა შეადგენს მინიმუმ 11 000 სიტყვას, 3. სამართლის სკოლა, რომელშიც ნაშრომის მოცულობა შეადგენს მინიმუმ 12 000 სიტყვა.
- სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია დანართ №1-ში; ტექნიკური გაფორმების წესი მოცემულია დანართ №2-ში, სამართლის სკოლის შემთხვევაში - დანართი №8 შესაბამისად.
2. წინასწარი განაცხადი და საბოლოო ნაშრომი შესრულებული უნდა ტექნიკური გაფორმების წესის დაცვით.
 3. სტუდენტი ვალდებულია თითოეული კომპონენტი შეასრულოს და გადაუგზავნოს საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერს დებულებით დადგენილი ვადების დაცვით. თუ გადაგზავნის ვადები არ იქნა დაცული, სტუდენტს კომპონენტის დაცვის თარიღები შესაძლოა გადაუვადდეს ერთჯერადად ერთი კვირით.
 4. საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადებისას სამაგისტრო საფეხურზე აუცილებელია გამოყენებულ იქნას მინიმუმ 25 ნაშრომი.
 5. სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციის დამტკიცებაზე, წინასწარ განაცხადსა და დაცვაზე სტუდენტი დაიშვება მხოლოდ ხელმძღვანელის რეკომენდაციით. ექსპერტის და საბჭოს თავმჯდომარის შენიშვნები განიხილება საბჭოს სხდომაზე.
 6. ნაშრომის წარდგენის ყველა ეტაპზე აუცილებელია სტუდენტის დასწრება.
 7. სამაგისტრო ნაშრომის თითოეული ეტაპის დაცვა გაიმართება თუ მას ესწრება საბჭოს წევრების ნახევარზე მეტი.
 8. სამაგისტრო ნაშრომის ნაშრომის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა.

საკვლევ თემას (ნაშრომში სათაურის სამუშაო ვერსიას) და სპეციალურ ბლანკზე ხელმოწერით ადასტურებენ თანხმობას კონკრეტული საბჭოს შემადგენლობის წევრობაზე. პირველი სხდომა იმართება შესაბამისი სემესტრის პირველ სასწავლო კვირას.

4. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის სათაურის დახვეწა დასაშვებია წინასწარი განაცხადის ეტაპის ჩათვლით.

მუხლი 35. საკვალიფიკაციო თემის შერჩევა

1. სკოლის საბჭო უფლებამოსილია აკადემიური რეგისტრაციის დაწყებამდე დაამტკიცოს საკვლევ თემატიკა.
2. საკვლევ თემატიკის დამტკიცების შემთხვევაში, სტუდენტი ირჩევს საკვალიფიკაციო ნაშრომს სკოლის მიერ გამოცხადებული თემატიკის ფარგლებში და წარუდგენს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბჭოს.
3. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბჭოს პირველ სხდომაზე საბჭოს წევრები ამტკიცებენ

36. საბაკალავრო ნაშრომის კონცეფცია

1. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის საბჭოს წინაშე შესაბამისი სემესტრის მესამე კვირას, საბჭოს მეორე სხდომაზე საბაკალავრო სწავლების სტუდენტი წარმოადგენს 1500-3000 სიტყვის მოცულობის ნაშრომს - კონცეფციას (დაახლოებით 7-14 გვერდი), გამოწვლილია: 1. ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა, რომელშიც კონცეფციის მოცულობა შეადგენს - 900-1 000 სიტყვას (დაახლოებით 4-5 გვერდი), 2. მეცნიერების და ტექნოლოგიების სკოლა, რომელშიც კონცეფციის მოცულობა შეადგენს მინიმუმ 1 300 სიტყვას.
2. საბაკალავრო ნაშრომის კონცეფცია მოიცავს: პრობლემას/საკითხს და ჰიპოთეზას; შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურის მოკლე მიმოხილვას, კვლევის ადეკვატურ მეთოდებს.
3. საბაკალავრო ნაშრომის კონცეფციის მაქსიმალური შეფასება არის 15 ქულა. საბჭოს წევრები დამოუკიდებლად აფასებენ სტუდენტს; სტუდენტის მიერ მიღებული საბოლოო ქულა გამოითვლება საშუალო არითმეტიკულით.

37. სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია

1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბჭოს წინაშე შესაბამისი სემესტრის მესამე კვირას, საბჭოს მეორე სხდომაზე სამაგისტრო სწავლების სტუდენტი წარადგენს 2500-4000 სიტყვის მოცულობის ნაშრომს- კონცეფციას, გამოწვლილია: 1. ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა, რომელშიც კონცეფციის მოცულობა შეადგენს - 900-1000 სიტყვას (დაახლოებით 4-5 გვერდი), 2. მეცნიერების და ტექნოლოგიების სკოლა, რომელშიც კონცეფციის მოცულობა შეადგენს მინიმუმ 2 000 სიტყვას, 3. სამართლის სკოლა, რომელშიც კონცეფციის მოცულობა შეადგენს მინიმუმ 2 000 სიტყვას.
2. სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია მოიცავს: პრობლემას/საკითხს და ჰიპოთეზას; შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურის მოკლე მიმოხილვას, კვლევის ადეკვატურ მეთოდებს.
3. სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციის შესახებ შენიშვნები და მოსაზრებები განიხილება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბჭოს მიერ.

38. საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი განაცხადი

1. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის საბჭოს წინაშე შესაბამისი სემესტრის მეცხრე კვირას, საბჭოს მესამე სხდომაზე საბაკალავრო სწავლების სტუდენტი წარადგენს 5 000-7 000 სიტყვის მოცულობის ნაშრომს, გამოწვლილია: 1. ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა, რომლის სტუდენტი წარადგენს 2 000-3 000 სიტყვის მოცულობის ნაშრომს (დაახლოებით 10-15 გვერდი), 2. მეცნიერების და ტექნოლოგიების სკოლა, რომლის სტუდენტი წარმოადგენს მინიმუმ 3 100 სიტყვის მოცულობის ნაშრომს. აღნიშნული გამოიყენება როგორც მომავალი საკვალიფიკაციო ნაშრომის საფუძველი.

2. წინასწარი განაცხადის ფარგლებში წარმოდგენილი უნდა იყოს 1. საკითხის მოკლე მიმოხილვა, პრობლემის განსაზღვრა და მოსალოდნელი შედეგები (შესავალი), არსებული შეხედულებებისა და ლიტერატურის მიმოხილვა (თავი I), 2. დაგეგმილი კვლევის მეთოდოლოგია (თავი II), 3. გამოყენებული ლიტერატურა (თავი III). წინასწარ განაცხადში მოცემული უნდა იყოს ასევე ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა.

3. დასაშვებია წინასწარი განაცხადის დახვეწა, განახლება გაფართოვება დასრულებული ნაშრომის წარდგენამდე, მაგრამ არ უნდა დაირღვეს შესაბამისობა თემის სათაურს, კვლევის თავდაპირველად დაგეგმილ მიზნებსა და მიღებულ შედეგებს შორის.

4. წინასწარი განაცხადის შეფასებაა 25 ქულა. საბჭოს წევრები დამოუკიდებლად აფასებენ სტუდენტს; სტუდენტის მიერ მიღებული საბოლოო ქულა გამოითვლება საშუალო არითმეტიკულით.

39. სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განაცხადი

1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბჭოს წინაშე შესაბამისი სემესტრის მეცხრე კვირას, სამაგისტრო სწავლების სტუდენტის მიერ ხდება 9 000 -12 000 სიტყვის მოცულობის ნაშრომის წარმოდგენა, გამონაკლისია: 1.

ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა, რომლის სტუდენტი წარადგენს 4 000-5 000 სიტყვის მოცულობის ნაშრომს (დაახლოებით 20-25 გვერდი), 2. მეცნიერების და ტექნოლოგიების სკოლა, რომლის სტუდენტი წარმოადგენს მინიმუმ 5 700 სიტყვის მოცულობის ნაშრომს, 3. სამართლის სკოლა, რომლის სტუდენტი წარმოადგენს მინიმუმ 6 000 სიტყვის მოცულობის ნაშრომს. აღნიშნული გამოიყენება როგორც მომავალი საკვალიფიკაციო ნაშრომის საფუძველი.

2. წინასწარი განაცხადის ფარგლებში წარმოდგენილი უნდა იყოს საკითხის მოკლე მიმოხილვა, პრობლემის განსაზღვრა და მოსალოდნელი შედეგები (შესავალი), არსებული შეხედულებებისა და ლიტერატურის მიმოხილვა (თავი I), დაგეგმილი კვლევის მეთოდოლოგია (თავი II), გამოყენებული ლიტერატურა (თავი III). წინასწარ განაცხადში მოცემული უნდა იყოს ასევე ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა.

3. დასაშვებია წინასწარი განაცხადის დახვეწა, განახლება გაფართოვება დასრულებული ნაშრომის წარდგენამდე, მაგრამ არ უნდა დაირღვეს შესაბამისობა თემის სათაურს, კვლევის თავდაპირველად დაგეგმილ მიზნებსა და მიღებულ შედეგებს შორის.

4. სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განაცხადის შესახებ შენიშვნები და მოსაზრებები განიხილება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბჭოს მიერ.

40. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობა

1. სტუდენტი ნაშრომის საბოლოო ტექსტს უზგავნის ხელმძღვანელს შესაბამისი სემესტრის მეთხუთმეტე კვირას, რომელიც 1 კვირის ვადაში ეცნობა ნაშრომს და იღებს გადაწყვეტილებას ნაშრომის დაცვაზე დაშვების შესახებ.

2. ხელმძღვანელის დასკვნა ნაშრომის დაცვაზე დაშვების თაობაზე შესაძლოა გასაჩვრდეს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბჭოში, დასკვნის მიღებიდან 5 დღის ვადაში.

3. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომზე ხელმძღვანელის დადებითი დასკვნის შემთხვევაში ნაშრომი გადაეგზავნება ექსპერტს და საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერს. ექსპერტი დასკვნას აშაადებს 5 დღის ვადაში. საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი ადასტურებს ან უარყოფს ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესთან, რაც წარმოადგენს საბჭოზე ნაშრომის მიღება/არ მიღების საფუძველს. ხარვეზის გამოსასწორებლად სტუდენტს ეძლევა 5 სამუშაო დღე.

41. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა

1. შესაბამისი სემესტრის მეცხრამეტე კვირას საბჭოს მეოთხე სხდომაზე სტუდენტის მიერ ხდება ნაშრომის დასრულებული ვერსიის წარმოდგენა.

2. დაცვის მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა. საბჭოს წევრები დამოუკიდებლად აფასებენ სტუდენტს;

სტუდენტის მიერ მიღებული საბოლოო ქულა გამოითვლება საშუალო არითმეტიკულით.

3. სტუდენტს საკვალიფიკაციო ნაშრომი დაცულად ეთვლება თუ სტუდენტის ჯამური შეფასება შეადგენს ნაშრომის მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 51%-ს.

4. ამოღებულია

42. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა

1. შესაბამისი სემესტრის მეცხრამეტე კვირას საბჭოს მეოთხე სხდომაზე სტუდენტის მიერ ხდება ნაშრომის დასრულებული ვერსიის წარმოდგენა.

2. დაცვის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა. სტუდენტს საკვალიფიკაციო ნაშრომი დაცულად ეთვლება თუ სტუდენტის შეფასება შეადგენს მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 51%-ს.

3. დაცვის ჩატარების შემდეგ ხარისხის მინიჭებამდე მაგისტრანტის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია ჩატარდეს საჯარო ლექცია ნაშრომის შესახებ.

43. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა

საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა წარმატებით დაძლია პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი. სტუდენტს ენიჭება პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია და ეძლევა ამ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი. თუ შედეგების საშუალო არანაკლებ 3.5-ია სტუდენტს გადაეცემა წარჩინების დიპლომი.